ვ.ს.ლ. და ა.ნ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

V.C.L. and A.N. v The United Kingdom

საჩივარი N 77587/12 და N 74603/12

16.02.2021

საქმეში V.C.L. AND A.N. v. the United Kingdom ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა:

კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) და

მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის აკრძალვა (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

აღნიშნული საქმე ეხებოდა ორ ვიეტნამელ ახალგაზრდას, რომლებიც პოლიციელებმა კანაფის ფერმებში მომუშავე აღმოაჩინეს. ისინი დააკავეს და ბრალი წაუყენეს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, რაზეც მათ აღიარეს დანაშაული. დამნაშავეებად ცნობის შემდეგ ისინი ახალგაზრდა დამნაშავეთა ინსტიტუციაში გადაიყვანეს. ამის შემდეგ, კომპეტენტურმა ორგანომ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლებად აღიარა. თუმცა, პროკურატურამ განიხილა მათი გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ და დაასკვნა, რომ ისინი არ იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლები ხოლო სააპელაციო სასამართლომ თითოეული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ სისხლისამართლებრივი დევნის გადაწყვეტილება გამართლებული იყო.

მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ პირველად განიხილა კონვენციის მე-4 მუხლსა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა შორის სისხლისსამართლებრივ დევნას შორის კავშირი. მან მიიჩნია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნა აუცილებლად არ არღვევს კონვენციის მე-4 მუხლს. თუმცა, ამ სფეროში კომპეტენტური ორგანოს ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ პროკურატურას დასჭირდებოდა ტრეფიკინგის განმარტებასთან შესაბამისი მკაფიო საფუძვლების წარმოდგენა ამ დასკვნების უარყოფისთვის, რაც წინამდებარე საქმეში არ მომხდარა. თუმცა, ტრეფიკინგის მსხვერპთა დასაცავად ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ რაც ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა იმ ეჭვის შესახებ, რომ პირი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი, ეს უნდა შეფასებულიყო კვალიფიციური პირის მიერ. ნებისმიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს ასეთი

შეფასება და მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება არ იქნება პროკურორისთვის სავალდებულო, პროკურორს უნდა გააჩნდეს მკაფიო საფუძვლები განსხვავებული დასკვნის გამოსატანად.

როგორც V.C.L- ის ასევე A.N-ის საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სარწმუნო ეჭვი, რომ ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლები იყვნენ, არც პოლიციას და არც პროკურატურას არ მიუმართავს კომპეტენტური ორგანოსთვის შეფასებისთვის; მიუხედავად იმისა, რომ ორივე საქმე შემდგომში პროკურატურამ გამოიკვლია, იგი არ დაეთანხმა კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, თუმცა არ მიუცია ამის მკაფიო საფუძვლები რომლებიც ძირს უთხრიდა კომპეტენტური ორგანოს დასკვნებს; ხოლო სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა იმით, იყო თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ამ პროცესის ბოროტად გამოყენება.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-4 მუხლის დარღვევას ორივე მომჩივნის საქმეში.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მომჩივნებთან გარკვეულ მოლაპარაკებას მიაღწია განაჩენების გამოტანის შემდეგ, ყოველგვარი შეფასების არარსებობამ იმის შესახებ, იყვნენ თუ არა მომჩივნები ტრეფიკინგის მსხვერპლნი, შესაძლოა მათ ხელი შეუშალა მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისგან რომელიც დაეხმარებოდა მათ დაცვას.

აქედან გამომდინარე, სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი, რამაც გამოიწვია მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა.

სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

(i) კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლები

148. კარგად დადგენილი პრაქტიკაა, რომ როგორც სახელმწიფოს შიგნით ასევე ტრანსნაციონალური ადამიანებით ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა ის დანაშაულთან, ექცევა კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში (იხ. *S.M. v. Croatia* [GC], no. 60561/14, § 296, 25 June 2020). არ არის აუცილებელი იმის დადგენა, მოპყრობა რომელზეც მომჩივანი დავობს არის „მონობა“ თუ „იძულებითი [ან] სავალდებულო შრომა“ (იხ. *Rantsev v. Cyprus and Russia*, no. 25965/04, § 282, ECHR 2010).

149. სადავო ქმედებამ შეიძლება წარმოშვას კონვენციის მე-4 მუხლის საკითხი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ტრეფიკინგის დეფინიციის ყველა შემადგენელი ელემენტი, რომელიც მოიცავს პალერმოს ოქმის მე-3 (ა) პუნქტს და ტრეფიკინგის

წინააღმდეგ ბრძოლის მე-4 (ა) პუნქტს. საკითხი, მოიცავს თუ არა კონკრეტული სიტუაცია ადამიანებით ვაჭრობის ყველა შემადგენელ ელემენტს, არის ფაქტობრივი საკითხი რომელიც უნდა იქნას შესწავლილი საქმის ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით (იხ. *S.M. v. Croatia*, cited above, § 302). ანალოგიურად, კითხვა, სთავაზობს თუ არა პირი „დამსაქმებელს" თავის თავს სამუშაოსთვის ნებაყოფლობით, არის ფაქტობრივი საკითხი, რომელიც შესწავლილი უნდა იქნას ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით. თუმცა, სასამართლომ ნათელი მოჰფინა, რომ როდესაც დამსაქმებელი ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას ან იყენებს მომუშავეთა დაუცველობას მათი ექსპლუატაციის მიზნით, ისინი არ სთავაზობენ საკუთარ თავს სამუშაოდ ნებაყოფლობით. ამასთან დაკავშირებით, დაზარალებულის წინასწარი თანხმობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოირიცხოს სამუშაოს დახასიათება როგორც იძულებითი შრომა (იხ. *Chowdury and Others v. Greece*, no. 21884/15, § 96, 30 March 2017).

(ii) სახელმწიფოს მე-4 მუხლით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებები

150. წევრი სახელმწიფოების მე-4 მუხლის ფარგლებში დადგენილი პოზიტიური ვალდებულებები გაგებული უნდა იქნას ევროპის საბჭოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის გათვალისწინებით და მოითხოვს არ მხოლოდ პრევენციას არამედ მსხვერპლის დაცვასა და გამოძიების წარმოებას. სასამართლო ხელმღვანელობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის წინააღმდეგ კონვენციით და *ტრეფიკინგის* საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (*GRETA*) მიერ მისი ინტერპრეტაციით (იხ. *Chowdury and Others*, ციტირებული ზემოთ, § 104).

151. მე-4 მუხლი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების კონკრეტულ პოზიტიურ ვალდებულებას, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდეს ნებისმიერი ქმედების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს პირის შენარჩუნებას მონობის ან იძულებით შრომის მდგომარობაში (იხ. *Siliadin v. France*, no. 73316/01, §§ 89 and 112, ECHR 2005-VII). ამ ვალდებულების შესასრულებლად, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ შექმნან საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა ტრეფიკინგის პრევენციისა და დასჯისათვის და მსხვერპლთა დასაცავად (იხ. *Rantsev*, ციტირებული ზემოთ, § 285).

152. როგორც კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები, ასევე მე-4 მუხლი შეიძლება, გარკვეულ ვითარებაში, მოითხოვდეს სახელმწიფოსგან მიიღოს ოპერატიული ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დასაცავად. იმისათვის, რომ კონკრეტულ საქმის გარემოებებში წარმოიქმნას ოპერატიული ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება, უნდა დადასტურდეს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც წარმოშობს სარწმუნო ეჭვს, რომ იდენტიფიცირებული პირი იმყოფებოდა ან არის ტრეფიკინგის ან

ექსპლუატაციის რეალური და უშუალო რისკის ქვეშ პალერმოს ოქმის მე-3 მუხლის (ა) და ტრაფიკინგის წინააღმედგ ბრძოლის კონვენციის მე-4 მუხლის (ა) პუნქტების მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში, ადგილი ექნება კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევას, როდესაც ხელისუფლება ვერ მიიღებს შესაბამის ზომებს მათი უფლებამოსილების ფარგლებში, რათა ჩამოაშოროს ინდივიდი ამ სიტუაციას თუ ამ სიტუაციაში აღმოჩენის რისკს (იხ.*Rantsev*, ციტირებული ზემოთ, § 286, სხვა მითითებებთან ერთად).

153. რაც შეეხება ოპერატიული ზომების ტიპს, რომლებიც შეიძლება მოთხოვნილი იყოს მე-4 მუხლით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ მთელი რიგი ზომები ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. პრევენციული ღონისძიებები მოიცავს ზომებს ეროვნულ დონეზე კოორდინაციის გასაძლიერებლად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ორგანოებსა და ადამიანთა ექსპლუატაციის ყველა ფორმისთვის ხელშეშლის მოთხოვნას შორის. დაცვის ზომები მოიცავს მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობას კვალიფიციური პირების მიერ და მსხვერპლთა დახმარებას მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციაში (იხ. *Chowdury and Others*, ციტირებული ზემოთ, § 110).

154. თუმცა, თანამედროვე საზოგადოებების პოლიციასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების თვალსაზრისით, ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულება უნდა იქნას განმარტებული ისე, რომ ხელისუფლებას არ დააკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი (იხ. *Rantsev*, ციტირებული ზემოთ, § 287).

155. მე-2 და მე-3 მუხლების მსგავსად, მე-4 მუხლი მოიცავს პროცედურულ ვალდებულებას, გამოიძიებული იქნეს პოტენციური ტრეფიკინგის სიტუაციები. გამოძიების მოთხოვნა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის ან ახლო ნათესავის საჩივარზე: როგორც კი ეს საკითხი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცევა, მათ უნდა იმოქმედონ საკუთარი ინიციატივით (იქვე § 288).

156. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მე-4 მუხლით გარანტირებული პოზიტიური ვალდებულების ზოგადი ფარგლები მოიცავს: (i) ტრეფიკინგის აკრძალვისა და დასჯის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნის ვალდებულება; (ii) ვალდებულება, გარკვეულ გარემოებებში, მიიღოს ოპერატიული ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა დასაცავად; და (iii) პოტენციური ტრეფიკინგის შემცველი სიტუაციების გამოძიების პროცედურული ვალლებულება. ზოგადად, პოზიტიური ვალდებულებების პირველი ორი ასპექტი შეიძლება აღინიშნოს როგორც არსებითი, ხოლო მესამე ასპექტი მიუთითებს

სახელმწიფოს (პოზიტიურ) პროცედურულ ვალდებულებაზე (იხ. *S.M. v. Croatia*, ციტირებული ზემოთ, § 306).

(iii) ტრეფიკინგის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნა

157. დღემდე, სტრასბურგის სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა საქმე ტრეფიკინგის მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ. შესაბამისად, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მას მოუწოდეს განეხილა ასეთი ბრალდება ექცეოდა თუ არა კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში.

158. ცხადია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნის არანაირი ზოგადი აკრძალვა არ შეიძლება იყოს განმარტებული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით. მართლაც, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის წინააღმდეგ დირექტივის მე-8 მუხლის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის 2014 წლის ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები მოიცავენ ორ მნივნელოვან კვალიფიკაციას: ტრეფიკინგის მსხვერპლი იძულებული უნდა ყოფილიყო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე; და ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს უფლება, მაგრამ არ არის ვალდებული, გადაწყვიტოს, არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. მიუხედავად იმისა, რომ იძულების არსებობა არ არის აუცილებელი, რომ ბავშვი მოექცეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის 26-ე მუხლის ან ტრეფიკინგთან ბრძოლის დირექტივის მე-8 მუხლის ფარგლებში, არცერთ ინსტრუმენტში არ არსებობს არაფერი ისეთი რაც შეიძლება გამორიცხავდეს ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დევნას ყველა გარემოებაში.

159. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ან პოტენციურ მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნა, გარკვეულ ვითარებაში, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს მოვალეობას, რომ მიიღოს ოპერატიული ზომები მათ დასაცავად, როდესაც მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ გარემოებების შესახებ რომლებიც წარმოშობს სარწმუნო ეჭვს, რომ ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულებას ორი ძირითადი მიზანი აქვს: ტრეფიკინგის მსხვერპლის დაცვა შემდგომი ზიანისგან; და გამოჯანმრთელებისთვის ხელშეწყობა. აქსიომატურია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა სისხლისსამართლებრივი დევნა ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებას და შესაძლოა მომავალში ისინი მოწყვლადი გახდნენ ხელახალი ტრეფიკინგის მიმართ. მათ არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურის გავლა მოუწევთ არამედ ასევე სისხლისსამართლებრივმა მსჯავრდებამ

შეიძლება ხელი შეუშალოს მათ შემდგომ ინტეგრაციას საზოგადოებაში. გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება შეაფერხოს მათი წვდომა იმ მხარდაჭერასა და სერვისებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციით.

160. იმისათვის, რომ მსხვერპლის ან ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის დევნა ავლენდეს მე-4 მუხლით გარანტირებული თავისუფლებისადმი პატივისცემას, უმნიშვნელოვანესია მისი ადრეული იდენტიფიკაცია. აქედან გამომდინარეობს, რომ როგორც კი ხელისუფლება გაიგებს ან უნდა სცოდნოდა იმ გარემოებების შესახებ რომლებიც წარმოშობს სარწმუნო ეჭვს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი შეიძლება ყოფილიყო ტრეფიკინგის ან ექსპლუატაციის მსხვერპლი, ის დაუყონებლივ უნდა შეფასდეს ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მიმართებით სპეციალიზირებული და კვალიფიციური პირების მიერ. აღნიშნული შეფასება უნდა ეფუძნებოდეს პალერმოს ოქმში და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციაში განსაზღვრულ კრიტერიუმებს (კერძოდ, რომ პირი დაიქირავეს, გადააადგილეს, გადასცეს, მისცეს თავშესაფარი ან თანხა, ძალის გამოყენების ან სხვა სახის იძულებით, ექსპლუატაციის მიზნით), კონკრეტულად იმის გათვალისწინებით, რომ ძალის გამოყენების ან/და იძულების მუქარა არ არის საჭირო როდესაც საქმე ბავშვს ეხება.

161. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდის, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსმა შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, არის თუ არა მტკიცებულებები საკმარისი სისხლისსამართლებრივი დევნისთვის და არსებობს თუ არა ამის საჯარო ინტერესი, ნებისმიერი გადაწყვეტილება ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ - რამდენადაც ეს შესაძლებელია - უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ მას შემდეგ რაც ტრეფიკინგის შეფასება მოხდება კვალიფიკაციური პირის მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებში. სასამართლომ აღიარა, რომ რადგან ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ზომები ძალადობისგან მათ დასაცავად, რომელიც ექცევა მე-3 და მე-8 მუხლის ფარგლებში, უნდა იყოს ეფექტური და მოიცავდეს ორივე გონივრულ ნაბიჯს არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა და ეფექტური ქმედების ჩადენისგან შეკავების საშუალებას პირადი მთლიანობის ასეთი სერიოზული სახის დარღვევის წინააღმდეგ (იხ., მაგალითად, *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, § 81, ECHR 2013; *M.P. and Others v. Bulgaria*, no. 22457/08, § 108, 15 November 2011; და *Z and Others v. the United Kingdom* [GC], no. 29392/95, § 73, ECHR 2001-V). ასეთი ზომები მიმართული უნდა იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე (იხ. *Söderman*, ციტირებული ზემოთ, § 81). ვინაიდან

ტრეფიკინგი საფრთხეს უქმნის ადამიანის ღირსებას და მის მსხვერპლთა ფუნდამენტურ თავისუფლებას (იხ. Rantsev, ციტირებული ზემოთ, § 282), იგივე ითქმის აგრეთვე კონვენციის მე-4 მუხლის ფარგლებში ქმედებისგან დაცვის ზომებზე.

162. მას შემდეგ, რაც ტრეფიკინგის შეფასება მოხდება კვალიფიკაციური პირის მიერ, ნებისმიერი შემდგომი ბრალდების მხარის გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ამ შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარისთვის შეიძლება არ იყოს სავალდებულო ტრეფიკინგის ასეთი შეფასების დროს მიღებული დასკვნები, მას უნდა ჰქონდეს მკაფიო მიზეზები, რომლებიც შეესაბამება პალერმოს ოქმში და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციაში მოცემული ტრეფიკინგის განმარტებას, რომ არ დაეთანხმოს მას.

(ბ) *ზემოაღნიშნული პრინციპების წინამდებარე საქმეში გამოყენება*

პროკურატურას შეეძლო, საერთაშორისო სტანდარტების ტრეფიკინგის განმარტებასთან შესაბამისობაში მყოფი მკაფიო მიზეზების საფუძველზე არ დათანხმებოდა კომპეტენტური ორგანოს დასკვნას, რომ ორივე მომჩივანი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვი. დათანხმების შემთხვევაში, პროკურატურისთვის შესაძლებელი იქნებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუ იგი ჩათვლიდა რომ არ არსებობდა კავშირი დანაშაულსა და ტრეფიკინგს შორის. თუმცა, ამ ორიდან არც ერთი არ მომხდარა.

პირველი მომჩივანი აღმოჩენილი იყო ისეთ გარემოებებში, რომლებიც თავად წარმოშობდნენ სარწმუნო ეჭვს, რომ იგი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მომჩივანი სრულწლოვანად ითვლებოდა, როდესაც პოლიციამ პირველად აღმოაჩინა, სარწმუნო ეჭვი გაჩნდა არაუგვიანეს ცხრა დღის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ აღიარა, რომ ის არასრულწლოვანი იყო. მიუხედავად ამისა, ორივე მომჩივანი არ იყო გაგზავნილი კომპეტენტურ ორგანოში ტრეფიკინგის შეფასებისთვის, მაგრამ მათ ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის დანაშაულებში, რომლებზეც მათ მოგვიანებით აღიარეს დანაშაული.

მეორე, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მომჩივნები კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებულნი იქნენ ტრეფიკინგის მსხვერპლებად, პროკურატურამ თავისი გადაწყვეტილებების დასაბუთების გარეშე არ დაეთანხმა ამ შეფასებას ხოლო სააპელაციო სასამართლომ იმევე არაადეკვატურ საფუძვლებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ მათი სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები გამართლებული იყო. ორივე ეროვნული იურისდიქცია ეყრდნობოდა ფაქტორებს, რომლებიც, როგორც ჩანს, არ შედიოდნენ ტრეფიკინგის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ განმარტებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფომ არ შეასრულა მე-4 მუხლის მიხედვით დაკისრებული მოვალეობა, მიეღო ოპერატიული ზომები მომჩივნების დასაცავად, თავდაპირველად როგორც ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლების ან შემდგომში როგორც კომპეტენტური ორგანოს მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლებად აღიარებული პირების მიმართ.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).